

# შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლზე

## მუხლი 115. ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა

1. ამ კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ თითოეულ ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯების გამოქვითვა დასაშვებია ყოველწლიურად, საანგარიშის წინა საგადასახადო წლის ბოლოსთვის ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტამდე ოდენობით.

### ანალიზი:

სსკ რემონტად განიხილავს ხარჯს, რომელიც მიმართულია პირის მიერ ძირითადი საშუალებების ამოსავალი (თავდაპირველი, ნორმატიული) მწარმოებლურობის ასამაღლებლად, მისი მოდერნიზაციისათვის (მაგ.: შენობა - ნაგებობების რეკონსტრუქცია, მანქანა - დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად), გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

მაგალითად, ავტომობილისათვის ზეთის შეცვლა წარმოადგენს მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯს და დაბეგვრის მიზნებისათვის არ განიხილება როგორც რემონტის ხარჯი. თუ ხარჯი დაკვალიფიცირდება როგორც მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი, ასეთი ხარჯი გამოიქვითება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე და ყოველგვარი პროცენტების დათვლის გარეშე.

### ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №28):

ძირითადი საშუალებების პირველი ჯგუფის მიხედვით 2012 წლის ბოლოს ჯგუფის ღირებულებითმა ბალანსმა 300 000 ლარი შეადგინა. საწარმომ 2013 წელს ამ ჯგუფის ძირითადი საშუალებების მიხედვით 18 000 ლარის ხარჯი გაწია, მათ შორის, 10 000 ლარის - სარემონტო და 8 000 ლარის - მიმდინარე საექსპლუატაციო.

### შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

გადასახადის გადამხდელს 2013 წელს უფლება აქვს სრულად გამოქვითოს 18 000 ლარი, მათ შორის, 10 000 ლარი როგორც ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯი, რადგან აღნიშნული თანხა ნაკლებია 15 000 ლარზე, ანუ გამოსაქვითი ხარჯის ზღვრულ ოდენობაზე ( $300000 \times 5\%$ ) და 8 000 ლარი როგორც მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი, რაზედაც არ არის დადგენილი შეზღუდვა.

რემონტის ხარჯების გამოსაქვითი ზღვრული ოდენობა იანგარიშება თითოეული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიმართ, მიმდინარე წლის ცვეთის თანხის გამოუკლებლად.

2. თანხა, რომელიც აღემატება ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ზღვრულ დონეს, ზრდის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსს.

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0238)

(იხ.სიტუაციური სახელმძღვანელო № 0801)

3. ამ კოდექსის 112-ე მუხლით გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენებისას რემონტის ხარჯები გამოიქვითება სრულად, ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვის გაუთვალისწინებლად.



## ანალიზი:

მიუხედავად 115-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულისა, თუ საწარმო ძირითადი საშუალებ(ებ)ის მიმართ იყენებს სრული გამოქვითვის მეთოდს, მას რემონტის ხარჯის სრულად გამოქვითვის უფლებაც აქვს და მასზე 5 - პროცენტიანი შეზღუდვის წესი არ მოქმედებს.

### **ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №29):**

პირმა 2012 წელს 300 000 ლარად შეძენილ და ექსპლუატაციაში შესულ სამეწარმეო საკმინანობისათვის გამოყენებულ ძირითად საშუალებებს, რომლის მიხედვითაც გაწეული ხარჯი სრულად გამოქვითა ამ წლის ერთობლივი შემოსავლიდან, 2013 წელს ჩაუტარა 25 000 ლარის სარემონტო სამუშაოები.

## შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული მუხლით განსაზღვრული შეზღუდვა აღნიშნული ძირითადი საშუალებების მიმართ შეადგენს 15 000 ლარს ( $300\,000 * 5\%$ ), გადასახადის გადამხდელი 2013 წლის ერთობლივი შემოსავლებიდან მთლიანად გამოქვითავს მასზე გაწეულ სარემონტო ხარჯებს - 25 000 ლარს.

თუ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულის ტოლია, მაგრამ ჯგუფში ფიზიკურად დარჩენილია ძირითადი საშუალებები, მათი რემონტის ხარჯით სრულად უნდა გაიზრდოს ამ ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

### **ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №30)**

2012 წელს პირმა შეიძინა და ექსპლუატაციაში გადასცა 3 საცხოობი ღუმელი 3 000 ლარად (თითო 1 000 ლარი). 2013 წელს ერთ-ერთი ღუმელი გაყიდა 2800 ლარად. 2014 წელს დარჩენილ 2 ღუმელს ჩაუტარდა 1500 ლარის ღირებულების რემონტი.

## შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

რადგან 2013 წელს ერთი ღუმელის რეალიზაციიდან მიღებული თანხა (2800 ლარი) მეტია 2013 წლის დასაწყისისათვის ჯგუფის ღირებულებით ბალანსზე (2400 ლარი), 2013 წლისათვის შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი გაუტოლდება ნულს და ნამეტი თანხით (400 ლარი) გაიზრდება 2013 წლის ერთობლივი შემოსავალი. ამასთან, ჯგუფში დარჩენილ 2 ღუმელზე 2014 წელს ჩატარებული რემონტის ღირებულებით (1500 ლარი) გაიზრდება წინა წელს განულებული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი 2014 წლისათვის და მასზე მოხდება ამორტიზაციის დარიცხვა.

4. იჯარით აღებულ ძირითად საშუალებათა რემონტის ხარჯები, თუ მისი ჩატარება ხელშეკრულების შესაბამისად გათვალისწინებული არ არის საიჯარო გადასახდელების შემცირების ხარჯზე, ექვემდებარება ძირითად საშუალებათა მიმდებთან კაპიტალიზებას და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ქმნის ცალკე ჯგუფს, რომლის დროსაც:

- ა) გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ამ კოდექსით ძირითად საშუალებათა მიმართ დადგენილი ამორტიზაციის ნორმების მიხედვით, 15 პროცენტის ოდენობით;
- ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხორციელდება ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება, აღნიშნული ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი ნულს გაუტოლდება და დარჩენილი თანხა ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება; ამასთანავე, ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება არ ითვლება მიწოდებად.

## ანალიზი:

თუ პირს ძირითადი საშუალებები აღებული აქვს იჯარით და თავისი წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე მის რეკონსტრუქციაზე და რემონტზე გასწია ხარჯი, გამოდის, რომ



სარემონტო სამუშაოები გასწია სხვის საკუთრებაში არსებულ ფართზე. თუ სარემონტო სამუშაოები გაწეულია ისე, რომ ამით საიჯარო გადასახადი არ შემცირებულა, და ის იწვევს აქტივის არსებით და განუყოფელ გაუმჯობესებას და პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური სარგებლის მიღებასთან, მას უფლება აქვს მოახდინოს კაპიტალიზაცია, აღიაროს აქტივად როგორც კუთვნილი ძირითადი საშუალება გაწეული სარემონტო სამუშაოების სახით და თვითონ დაიწყოს ამ ნაწილზე ამორტიზაციის დარიცხვა.

ამასთან, გადამხდელის მიერ ზემოაღნიშნული უფლების გამოყენებისას, აღნიშნული აქტივი იმავდროულად როგორც ძირითადი საშუალება ჩართული უნდა იყოს ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტშიც.

### **ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №31)**

პირმა მალაზიის მოსაწყობად 10 წლის ვადით იჯარით აიღო 500 000 ლარის ღირებულების შენობა, მოიჯარესთან შეთანხმებით თავისი საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე შენობის ქვეშ მოაწყო სასაწყობო სარდაფი, რომლის რეკონსტრუქცია- მშენებლობაზე დახარჯა 100000 ლარი. პირმა აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვიტა ვადაზე ადრე (მესამე წელს) და ამ ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუბრუნა ქონება მესაკუთრეს.

### **შედეგი:**

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

პირმა იჯარით აღებული ქონების რეკონსტრუქცია - მშენებლობაზე დახარჯული 100 000 ლარი უნდა აღიაროს აქტივად, ასახოს ცალკე ჯგუფში და გამოქვითვის მიზნით ამორტიზაციის დარიცხვა განახორციელოს მე-5 ჯგუფში შემავალ ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის ნორმის მიხედვით.

მაგრამ თუ პირმა აღნიშნული ხელშეკრულება შეწყვიტა ვადაზე ადრე (მესამე წელს) და ამ ხელშეკრულების შეწყვეტისას დაუბრუნა ქონება მესაკუთრეს, მაშინ დარჩენილი არაამორტიზებული ნაწილი  $100000 - (100000 \times 15\%) - (85000 \times 15\%)$  ნულდება და ჯგუფში დარჩენილი თანხა - 72200 ლარი ერთობლივი შემოსავლიდან არ გამოიქვითება.

